



მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

მაისი, 2025

- 2025 წლის აპრილში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 7.5 პროცენტი, ხოლო 2025 წლის პირველი 4 თვის საშუალო ზრდა 8.8 პროცენტზე დაფიქსირდა
- მაისში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 3.5 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.1 პროცენტს
- აპრილში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 41.1 პროცენტით და იმპორტი შემცირდა წლიურად 3.6 პროცენტით, რამაც სავაჭრო დეფიციტი 22.9 პროცენტით შეამცირა წლიურად და გაუტოლდა 782.5 მლნ აშშ დოლარს
- აპრილის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 8.2 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 0.6 პროცენტით წინა თვესთან შედარებით
- მაისში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტზეა
- მაისის ბოლოსთვის, საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია:


Fitch „BB ნეგატიური“

S&P „BB სტაბილური“


Moody's „Ba2 ნეგატიური“

წინასწარი შეფასებით აპრილში ეკონომიკურმა ზრდამ 7.5 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2025 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ აპრილში წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტი შეადგინა. 2025 წლის პირველი 4 თვის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 8.8 პროცენტია.
- 2025 წლის აპრილში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, სამთომოპოვებითი მრეწველობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება.


ეკონომიკური ზრდა 2025-2022



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


2024 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 8.3 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2024 IV კვარტალი



- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მეოთხე კვარტალში ზრდა დაფიქსირდა 8.3 პროცენტზე, ხოლო პირველ 3 კვარტალში 8.7, 9.7 და 11.0 პროცენტით გაიზარდა ეკონომიკა. მეოთხე კვარტალში 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 38.9 პროცენტთან ზრდას აქვს ადგილი.
- 2024 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 29.7 % (1.8 პ.პ.)
 - განათლება: 36.2% (1.6 პ.პ.)
 - სახელმწიფო მმართველობა: 19.9 % (1.1 პ.პ.)
 - ჯანდაცვა: 23.6 % (0.7 პ.პ.)
 - ხელოვნება, გართობა და დასვენება: 14.9 % (0.5 პ.პ.)
 - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 15.0 % (0.3 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგმა:
 - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: -2.3% (-0.2 პ.პ.)


მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2024 IV კვარტალი



წყარო: საქსტატი

მაისის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 3.5 პროცენტი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სეზ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი აპრილში წლიურად შემცირდა 22.9 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, %




- აპრილში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 41.1 პროცენტით და გაუტოლდა 616.8 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 19.5 პროცენტით და გაუტოლდა 260.4 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 3.6 პროცენტით და გაუტოლდა 1 399.3 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 22.9 პროცენტით და გაუტოლდა 782.5 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 31.4 პროცენტი (62.6 %წ/წ), ხოლო ნედლეული საქონლის ექსპორტმა შეიტანა 11.2 პროცენტის წვლილი (122.9 %წ/წ).
- საინვესტიციო, შუალედური და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეიტანა -2.0, -1.5 და -0.1 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, აპრილი




ექსპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 253.3 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 41.1 პროცენტი.
- ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები: 43.4 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 7.0 პროცენტი.
- ეთილის სპირტი: 22.1 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 3.6 პროცენტი.


იმპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 225.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 16.1 პროცენტი.
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 95.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 6.8 პროცენტი.
- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული: 55.7 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 4.0 პროცენტი.

იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, აპრილი



ექსპორტის ტოპ ქვეყნები:


- ყირგიზეთი: 151.4 მლნ. აშშ დოლარი, - 24.5 პროცენტი.
- ყაზახეთი: 82.2 მლნ. აშშ დოლარი - 13.3 პროცენტი.
- ევროკავშირი: 77.1 მლნ. აშშ დოლარი, - 12.5 პროცენტი.

იმპორტის ტოპ ქვეყნები:

- ევროკავშირი: 368.8 მლნ. აშშ დოლარი - 26.4 პროცენტი.
- თურქეთი: 217.7 მლნ. აშშ დოლარი, - 15.6 პროცენტი.
- აშშ: 173.5 მლნ. აშშ დოლარი, - 12.4 პროცენტი.

2025 წლის აპრილში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 6.3 პროცენტური ზრდა

წმინდა ფულადი გზავნილები, 2025-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, აპრილი 2025

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, კპ
აშშ	52.9	17.7	3.2
იტალია	49.1	9.6	1.7
რუსეთი	36.1	-20.7	-3.8
გერმანია	24.0	21.4	1.7
საბერძნეთი	22.8	12.6	1.0
ისრაელი	21.5	10.7	0.8
სხვა	57.2	7.3	1.6

- 2025 წლის აპრილში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 263.6 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6.3 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 123.4 პროცენტით მეტია.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - აშშ: 17.7 პროცენტი (3.2 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - იტალია: 9.6 პროცენტი (1.7 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - გერმანია: 21.4 პროცენტი (1.7 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)


წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - რუსეთი: -20.7 პროცენტი (-3.8 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ყაზახეთი: -47.1 პროცენტი (-2.1 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - აზერბაიჯანი: -479.5 პროცენტი (-0.5 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

აპრილში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 8.2 პროცენტით გაუფასურდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	1 ივნისი, 2025		1 ივნ 2025 - 1 იან 2025		1 ივნ 2025 - 1 იან 2024
ევრო	3.0969	▼	-5.4%	▼	-3.9%
აშშ დოლარი	2.7334	▲	2.9%	▼	-1.6%
თურქული ლირა	0.0697	▲	14.2%	▲	30.6%
რუსული რუბლი	0.0347	▼	-25.6%	▼	-13.9%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	187.97	▼	-2.6%	▲	0.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (აპრილი 2025)	135.32	▼	-3.1%	▼	-8.9%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)


ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2025 წლის აპრილში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 0.5 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 2 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 119.4 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა -224.8 მლნ ლარით.
- 2025 წლის მაისში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, შესაბამისად 0.2 და 3.4 პროცენტის კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

მაისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი




- 2025 წლის მაისში ჩატარდა 6 გამოშვებისა და 1 გაცვლის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 275.78 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.93% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობისა და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 451.25 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.

ობლიგაციების ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი




ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (31 მაისი)




- 2025 წლის 31 მაისისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 42.8% ფორმირებულია იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 3-5 წლის ვადიანობის მქონე ობლიგაციებს (დაახლოებით 26.6%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (აპრილი 1.89) შედარებით გაიზარდა და 1.98 შეადგინა.
- მაისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების დარჩენილი საშუალო შეწონილი ვადიანობა გაიზარდა და 3.74 წელი შეადგინა (აპრილი 3.6 წელი).

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სესხების ლარიზაცია



დეპოზიტების ლარიზაცია





2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 56.7 პროცენტს გაუტოლდა.

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 75.5 პროცენტი შეადგინა.

იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 35.8 პროცენტი.

მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 47.1 პროცენტს უტოლდება.



- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 61.3 პროცენტს გაუტოლდა.

- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 34.7 პროცენტს შეადგენს.

- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 52.9 პროცენტს.


- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 44.2 პროცენტს უტოლდება.

- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 40.0 პროცენტს შეადგენს.


წყარო: სეზ

აპრილში სესხების წლიურმა ზრდამ მაღალი ტემპი შეინარჩუნა


სესხების წლიური ზრდა, %



სესხების წლიური ზრდა, %



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, % წ/წ






- 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 16.5 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 18.2 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 14.9 პროცენტს შეადგენს.
- 2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 21.2 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 10.9 პროცენტს გაუტოლდა.
- 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 13.5 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 19.5 პროცენტით დაიკლო, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 8.2 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სეზ

დეპოზიტების წლიური ზრდა, %

დეპოზიტების წლიური ზრდა, %

დეპოზიტების წლიური ზრდა, %




- მიმდინარე წლის 30 აპრილს მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.6 პროცენტი იყო.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 3.3 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 15.9 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 12.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 6.6 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2025 წლის აპრილის ბოლოს შეადგინა -0.2 პროცენტი (კლება).
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 15.4 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 9.7 პროცენტი.


წყარო: სეზ

მაისში 8 პროცენტული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მოქმედებდა

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი





- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მორიგი სხდომა 2025 წლის 7 მაისს ჩატარდა. კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების 8 პროცენტული განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ.
- სებ-ის მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელთან (3 პროცენტი) ახლოსაა. საშუალო დონის ინფლაციას საქართველოში რამოდენიმე შიდა და გარე ფაქტორი იწვევს. ადგილობრივი ფაქტორებიდან გამოსარჩევია მაღალი ეკონომიკური აქტივობა და ეკონომიკის წარმოების პოტენციალის გაზრდა. აღნიშნული შიდა ფაქტორები არბილებენ ინფლაციურ წნეხს. რაც შეეხება საგარეო ფაქტორებს, ამ მხრივ ხაზგასასმელია საერთაშორისო სურსათის ფასების აწევა, დოლარის გაუფასურება, გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის მაღალი დონე და ნავთობის ფასების კლების ტენდენცია. სებ-ის შეფასებით, დოლარის ინდექსის გაუფასურება და ნავთობის ფასების შემცირება გარკვეულწილად ანეიტრალებს საერთაშორისო სურსათის ფასების, გლობალური გაურკვევლობითა და ძლიერი შიდა ერთობლივი მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლას. სებ-ის ცენტრალური სცენარის მიხედვით, მიმდინარე წელს ინფლაცია დროებით გადააჭარბებს მიზნობრივ მაჩვენებელს და საშუალოვადიან პერიოდში დასტაბილურდება 3%-ის გარშემო. მიმდინარე წლის მაისში ფაქტობრივმა ინფლაციამ (წ/წ) 3.5 პროცენტი შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ 2024 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 1.1 პროცენტზე დაფიქსირდა.
- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2025 წლის 18 ივნისს ჩატარდება.
- საქართველოს ეროვნულ ბანკს აპრილში სავალუტო აუქციონების საშუალებით ინტერვენციები არ განუხორციელებია.

წყარო: სებ

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.1 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 3.0 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.1 პროცენტს (ზრდა) შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 12.2 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 15.5 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.4 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.0 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 16.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.7 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2025 წლის აპრილის ბოლოს 12.7 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.2 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.7 პროცენტი.

წყარო: სეზ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო